სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N7

ქ. ბათუმი 25 იანვარი 2023 წელი

ერთის მხრივ, შპს ,,ხელვაჩაურის წყალი“ (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის, პაატა ზაქარაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ ზურაბ გუნდაძე (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი წარმომადგენელის ზურაბ გუნდაძის სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]” ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების და მათი ძრავებისთვის ნაწილების და აქსესუარების სახელმწიფო შესყიდვა (CPV კოდი 34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის; იხ. დანართი N1).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1160 (ათას ას სამოცი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3. საქონლის რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ის თანახმად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.
3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის ან/და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონლის/მომსახურების მოწოდების სრულად დასრულების შემდეგ, მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.

4.2 საქონლის მოწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 8 თებერვლის ჩათვლით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, ხარისხისა და მოცულობის ინსპექტირება.
ბ) საქონლის/მომსახურების მოწოდების დასულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტაცია.
გ) ცალმხრივად შეწყიტოს ხელშეკრულების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას. ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვეტილად ითვლება, აღნიშნულის შესახებ, მიმწოდებლისადმი გაგზავნილ წერილობით შეტყობინებაში მითითებული ვადიდან.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მოწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დროულად და ხარისხიანად მიწოდება.
ბ) დროულად უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკოლვანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით.
გ) დროულად მოახდინოს რეაგირება შემსყიდველის მიერ წამოჭრილ პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველის მხრიდან მოწოდებული საქონლის ინსპექტირებას/შემოწმებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,ხელვაჩაურის წყალის“ დირექტორის მოადგილე ბიძინა ჟორდანიძე და შპს „ხელვაჩაურის წყალის“ მექანიკოსი მინდია დუმბაძე.
6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირობების შეუსრულებლობის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის, ასევე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტას “მიმწოდებელს” ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.4. საჯრაიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. მხარეები უფლებამოსილი არიან შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები/პირობების შეუსრულებას, ან მოქმედი კანონდმებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გასნაზღვრული ვალდებებულებების შესრულებისაგან.
10.2. მხარე ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.
11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი შპს „ხელვაჩაურის წყალის“ დირექტორის მოადგილე ბიძინა ჟორდანიძე და შპს „ხელვაჩაურის წყალის“ მექანიკოსი მინდია დუმბაძე.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

13.1. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით.
13.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 27 მარტის ჩათვლით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

შპს „ხელვაჩაურის წყალი“
მის: ქ. ბათუმი დიდაჭარის #23
ს/კ 448382562
ტელ/მობ: 599315000
საბანკო რეკვიზიტები:
სს ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი LBRTGE22
ანგარიშის N GE13LB0115181315739000

დირექტორი: პაატა ზაქარაძე

Khelvachauri Water LTD
Подписано цифровой подписью: Khelvachauri Water LTD
Дата: 2023.01.25 10:46:25 +04'00'

„მიმწოდებელი“

ი/მ ზურაბ გუნდაძე
მის: ქ. ბათუმი აღმაშენებლის 21
პ/ნ 61002014342
ტელ/მობ: 599144225
საბანკო რეკვიზიტები:
სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიშის N GE70BG0000000578289300

წარმომადგენელი: ზურაბ გუნდაძე

Zurab Gundadze 61002014342
Digitally signed by Zurab Gundadze
Date: 2023.01.25 15:11:52

დანართი 1

ფასების ცხრილი

N	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	CPV_კოდი
1	ბუნიკი (ნაკანიჩნიკები)	ცალი	2	35	70	34300000
2	გადაბმულობის დამწოლი დისკი (ვიჟიმნოი)	ცალი	1	60	60	34300000
3	ამორტიზატორები	ცალი	2	60	120	34300000
4	კარის სახელური	ცალი	1	20	20	34300000
5	სამუხრუჭე სითხე	ცალი	4	5	20	34300000
6	ზეთსაკავი რგოლი (მანჟეტი)	ცალი	1	15	15	34300000
7	მტავარი ცილინდრის ზეთსაკავი სითხე	ცალი	1	10	10	34300000
8	სამუხრუჭე მილი	ცალი	1	15	15	34300000
9	სტარტერის ღილაკი	ცალი	1	70	70	34300000
10	სტარტერის გამსწრები ქურო	ცალი	1	40	40	34300000

11	სტარტერის ტურკა	ცალი	3	10	30	34300000
12	უკანა ხიდის ბულოვანას საკისარი	ცალი	2	40	80	34300000
13	უკანა ხიდია ზეთსაკავი ჩობალი	ცალი	1	10	10	34300000
14	სტარტერის ნახშირი	ცალი	4	5	20	34300000
15	(გადაცემათა კოლოფის(ცეპლენიის) გამთიშველი მექანიზმი	ცალი	1	90	90	34300000
16	გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ფლიანეცი	ცალი	1	50	50	34300000
17	უკანა წამყვანი ხიდი	ცალი	1	440	440	34300000
	ჯამი				**1160**	

შემსყიდველი
შპს ,,ხელვაჩაურის წყალი“
დირექტორი
პაატა ზაქარაძე

მიმწოდებელი
ი/მ ზურაბ გენდაძე
წარმომადგენელი
ზურაბ გუნდაძე

Zurab Gundadze 61002014342
Digitally signed by Zurab Gundadze
Date: 2023.01.25 15:12:44

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ბათუმი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სატრანსპორტო საშუალების და მათი ძრავებისთვის ნაწილბის და აქსესუარების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში სადაც მიმწოდებლად ფიქსირდება ი/მ ზურაბ გუნდაძე წარმოდგენილი მისი წარმომადგენელის ზურაბ გუნდაძის სახით მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „ხელვაჩაურის წყალი“-ს დირექტორი პაატა ზაქარაძე